სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

22 მაისი 2026

N 21/7324

სს „საქართველოს მილსადენის კომპანიას საქართველოს ფილიალი“-ს
მის: ქ. თბილისი, იალბუზის ქუჩა №14
ელ. ფოსტა: laitn0@bp.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ (შემდგომ – სააგენტო) განიხილა თქვენი №5304 წერილით წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება საექსპორტო ნავთობსადენის დასავლეთი მარშრუტის საქართველოს სახმელეთო მონაკვეთის, სუფსის ტერმინალისა და საზღვაო გადასატვირთი მოწყობილობის პროექტის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებას.

გაცნობებთ, რომ სუფსის ტერმინალის საცხოვრებელი ბანაკის სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრის გასწვრივ არსებული არხი, რომელშიც ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით საცხოვრებელი ბანაკის ტერიტორიაზე წარმოქმნილი საწარმოო-სანიაღვრე ჩამდინარე წყლების ჩაშვების ახალი წერტილის მოწყობაა გათვალისწინებული, შპს „საქართველოს მელიორაცია“-ს კუთვნილი „სუფსის დამშრობი სისტემის“ შემკრებ კოლექტორს წარმოადგენს. შესაბამისად, საწარმოო-სანიაღვრე ჩამდინარე წყლების ჩაშვების ახალი წერტილის მოწყობის და წყალჩაშვების საკითხი შპს „საქართველოს მელიორაცია“-სთან შეთანხმებას საჭიროებს. ამასთან, შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია სკრინინგის განცხადებაში უნდა იყოს წარმოდგენილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მითითებული საკითხის დაზუსტებამდე, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის 5^1 ნაწილის საფუძველზე, სააგენტო წყვეტს თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაზე ადმინისტრაციულ წარმოებას.

თამარ შარაშიძე

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/7324-21-2-202605221913

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE